ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1862531

ნომერი: AR1304795

თარიღი : 26.04.2015

გაცემის თარიღი : 29.04.2015

გაცნობის თარიღი : 29.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- არჩილ ჯაყელი პ/ნ 01018001524
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 4 ბ. 22

ორგანიზაცია:
- სამშენებლო კომპანია ივერონი კოდი: 404475233

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში #01.72.14.036.127 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გასავლელად აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს ტოპოგრაფიული გეგმა და საინფორმაციო დაფა. შესაბამისად, საკითხის განსახილველად უნდა წარმოადგინოთ:

საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500) ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით) (თქვენს მიერ წარმოდგენილ ტოპოზე არ არის დატანილი ხელმოწერა).

ტოპოგრაფიული გეგმა ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის შესაბამის დახარვეზებულ ველში.

საინფორმაციო დაფა - (განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში დაგეგმილი მშენებლობისას, ნებართვის მაძიებელი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსებას) სადაც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ: შენობა-ნაგებობის მისამართი, შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები, შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები. (საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ);

საპროექტო ობიექტის საინფორმაციო დაფის ფოტოსურათები (გადაღებული შორი და ახლო მანძილიდან) უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის დახარვეზებულ ველში (საინფორმაციო დაფა–ბანერი *) (თქვენს მიერ წარმოდგენილია საინფორმაციო დაფის ფოტომონტაჟი).

ასევე წარმოდგენილი მიწის ნაკვეთები ყვება დიდი დიღმის “ჩარჩო გეგმის” განვითარების არეალში (რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს). ქ. თბილისის საკრებულოს 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ქ. თბილისის განაშენიანების გენერალური გეგმა, რომლის დამუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ამ ტერიტორიაზე, მათ შორის განცხადებაში მითითებულ ტერიტორიაზე არსებული ყველა მიწის ნაკვეთის განვითარება, რომელიც ითვალისწინებს 10 მეტრიანი რეგულირების ხაზების (წითელი და ლურჯი) დატანას (იხ. დანართი). განაშენიანების რეგულირების ხაზ(ებ)ი (წითელი ხაზ(ებ)ი – მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომლის მიღმაც უნდა განთავსდეს შენობა- ნაგებობები;

განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) - მიწის ნაკვეთისათვის (ნაკვეთებისათვის) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტით დადგენილი წარმოსახვითი მიჯნა, რომელზედაც უნდა განთავსდეს შენობა-ნაგებობები;

გამომდინარე აქედან, ზემოაღნიშნული პირობების დაცვით უნდა განხორციელდეს, როგორც კონკრეტულად ამ მიწის ნაკვეთის, ასევე მის გაყოლებაზე არსებული რეგისტრაციების სამშენებლო განვითარება, შენობა–ნაგებობების ქუჩის მხრიდან უნდა განთავსდეს სავალდებულო ლურჯ ხაზზე;

ასევეგაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში ნაკვეთის ფუნქციად ფიქსირდება სასოფლო სამეურნეო, მშენებლობის ნებართვის შემდგომ ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სადაც ნაკვეთის ფუნქციად დაფიქსირებული უნდა იქნეს არასასოფლო–სამეურნეო;

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7,

მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.